

2018-2023 წწ გამოცემული სახელმძღვანელოები, სალექციო კურსები, მეთოდური მითითებები.

2018 წელს გამოცემული

1.გ.წულუკიძე;

„ერგონომიკის საფუძვლები“,

2018 წ.; თბილისი, სტუ, ISBN 978-9941-28-126-6

ანოტაცია: სალექციო კურსში განხილულია ერგონომიკის საგანი, მისი მიმართულებები - ანთროპომეტრია, საინჟინრო ფსიქოლოგია, შრომის ფიზიოლოგია და შრომის ჰიგიენა.

სალექციო კურსის მიზანია დაეხმაროს სტუდენტს ერგონომიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, სწორად გააზრებაში, სასწავლო მასალის სრულად ათვისებასა და მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაში.

კურსი განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.

2.გ.წულუკიძე; Эргономика, 2018წ. თბილისი, სტუ; ISBN 978-9941-28-121-1;

ანოტაცია: სალექციო კურსში განხილულია ერგონომიკის საგანი, მისი მიმართულებები - ანთროპომეტრია, საინჟინრო ფსიქოლოგია, შრომის ფიზიოლოგია და შრომის ჰიგიენა.

სალექციო კურსის მიზანია დაეხმაროს სტუდენტს ერგონომიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, სწორად გააზრებაში, სასწავლო მასალის სრულად ათვისებასა და მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაში.

კურსი განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.

3.გ.წულუკიძე;

Дизайн мебели,

2018წ. თბილისი, სტუ; SBN 978-9941-28-120-4

ანოტაცია: წიგნში განხილულია ავეჯის დაპროექტების ძირითადი პრინციპები, წარმოშობის ისტორია, ეტაპები და სტილები. კურსის მიზანია სტუდენტს ასწავლოს სხვადასხვა დანიშნულების მქონე ინტერიერისთვის განკუთვნილი ავეჯის ინდივიდუალური და კომპლექსური დაპროექტება.

საღეწიო კურსი განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.

4. დ. ბოსტანაშვილი; არქიტექტურის პოეტიკა; თბილისი 2018 წ.: ტექნიკური უნივერსიტეტი; ISBN. 978-9941-28-679-7

ანოტაცია: სახელმძღვანელოში განხილულია სწავლების ორიგინალური და ინოვაციური მეთოდები, რომლებიც პროფესორმა შოთა ბოსტანაშვილმა 1990 წელს შექმნა. წიგნში გადმოცემულია „არქიტექტურის პოეტიკის“ ძირითადი თეორიული დებულებები და გამოკვლეულია მათი კავშირი კულტურის ფილოსოფიის სხვა მიმართულებებთან, კერძოდ ფენომენოლოგიასა და სემიოტიკასთან. წიგნი დააინტერესებს როგორც არქიტექტურის პოეტიკის“ სტუდენტებს, ისე ზოგადად ქართული არქიტექტურის ამ განსაკუთრებული მოვლენით დაინტერესებულ მკითხველებსა.

5. ვ.მჭედლიშვილი, მ.მილაშვილი, ტექნიკური დიზაინის ისტორია.

ლექციების კურსი. ციფრული ვერსია. 2018 წ. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა. კოდი CD – 4653; უაკ.72.03

ანოტაცია: ლექციების კურსი განიხილავს ტექნიკური დიზაინის, როგორც მრავალმხრივ მნიშვნელოვან სფეროს ჩამოყალიბების საწყისებს, განვითარების ეტაპებსა და თანამედროვე ტენდენციებს. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მაგალითზე, ტექნიკური დიზაინის განვითარების ძირითად მიმართულებებს, მათ მნიშვნელოვან მახასიათებლებს, თავისებურებებსა და ნიშან-თვისებებს.

ლექციების კურსი „ტექნიკური დიზაინის ისტორია“ განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის.

6. ვ.მჭედლიშვილი, მ.მილაშვილი,

საიუველირო ნაკეთობათა მხატვრული კონსტრუირება. ლექციების კურსი. ელ.ვერსია.120 გვ. თბ. 2018 წ. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა. CD- 5100; უაკ 67.12:739

ანოტაცია: ლექციების კურსი განსაზღვრავს საიუველირო ნაკეთობათა მხატვრული კონსტრუირების ადგილსა და როლს საიუველირო წარმოების განვითარების პროცესში. წარმოდგენილია საიუველირო ნაკეთობათა მხატვრული კონსტრუირების განვითარების ძირითადი მიმართულებები და არსებული საერთაშორისო პრაქტიკა. განსაზღვრულია საიუველირო ნაკეთობათა სტილისტიკის განვითარების თანამედროვე მიმართულებები და ტენდენციები. ლექციების კურსი განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო დარგის სპეციალობების მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

7.ნ. იმნაძე

„არქიტექტურის თეორია და პრაქტიკა, კვლევა - განზოგადება“

სალექციო კურსი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, sagamomcemlo saxli `teqnikuri universiteti~, ISBN 978-9941-28-022-1 (PDF); <http://www.gtu.ge>

თბ. 2018

ანოტაცია: სალექციო კურსში განხილულია არქიტექტურის თეორია და მისი ინტერპრეტაციის პრაქტიკა, თანამედროვე არქიტექტურის ძირითადი კონცეფციები და ამა თუ იმ თეორიული მიდგომის გამოყენების შესაძლებლობა კონკრეტული ობიექტის ანალიზისას. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული არქიტექტურული შემოქმედების ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასპექტებზე.

სალექციო კურსი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: შემოქმედებითი ჰიპოთეზები, ტრადიცია და თანამედროვეობა, რეგიონალიზმი არქიტექტურაში, ისტორიზმის ფაქტორი XXI საუკუნის არქიტექტურაში, ახალი შენობა ისტორიულ და ლანდშაფტურ გარემოში; კონტექსტი და კონტრასტი, იდუსტრიული არქეოლოგია და სხვა.

ნაშრომი განკუთვნილია სტუ-ს არქიტექტური, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრანტებისთვის. იგი გამოადგება დაინტერესებულ პირებსაც.

8.მ.მილაშვილი. ვ.მჭედლიშვილი,

История технического дизайна.

ლექციების კურსი რუსულ ენაზე. ლექციების კურსი. ელ.ვერსია.78 გვ. თბ. 2018 წ. სტუ-ს ბიბლიოთეკა CD- 4680; უაკ 72.03

ანოტაცია: ლექციების კურსში განხილულია ტექნიკური დიზაინის განვითარების ძირითადი ეტაპები, ამ სფეროში არსებული მნიშვნელოვანი სტილისტური და

სტილისტიკური მიმართულებები და მათი თავისებურებანი. გაანალიზებულია ტექნიკური დიზაინის სფეროში ინგლისის, აშშ-ს, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიისა და სხვა წამყვანი ქვეყნებში არსებული საეთაშორისო პრაქტიკა და მათი მნიშვნელოვანი მიღწევები. განსაზღვრულია ტექნიკური დიზაინის სფეროს განვითარების თანამედროვე მიმართულებები და ტენდენციები.

9. ვ. ფირცხალავა, გ. მუხიაშვილი;

კონსტრუქციები არქიტექტურაში ” (ნაწილი II)

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2018

ISBN 978-9941-28-018-4

ანოტაცია: სალექციო კურსში განხილულია არქიტექტურულ-კონსტრუქციული სისტემები და გეგმარებითი სქემები, რომლებიც გამოიყენება საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების პროექტირებასა და მშენებლობაში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ არქიტექტურულ-კონსტრუქციულ სისტემებს, რომლებიც გამოიყენება თანამედროვე მრავალსართულიანი და მაღლივი სამოქალაქო ობიექტების მშენებლობაში და რომლებიც ნაკლებადაა ან საერთოდ არ არის განხილული (მაგ. ღეროვანი, გარსული, კომბინირებული არქიტექტურულ კონსტრუქციული სისტემები და გეგმარებითი სქემები) არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტთათვის განკუთვნილ სასწავლო სახელმძღვანელოებში.

წარმოჩენილია თუ რამდენად განსაზღვრავს კონსტრუქციული სისტემა არქიტექტურული ობიექტის გამომსახველობას, განხილულია მათი სტილისტური და კომპოზიციური თავისებურებანი. მოყვანილია ამ კონსტრუქციული სისტემების გამოყენებით განხორციელებული შენობების არქიტექტურულ-მხატვრული და მოცულობით გეგმარებითი გადაწყვეტის მაგალითები.

ნაშრომში ამასთანავე განხილულია დიდძალიანი სივრცითი არქიტექტურულ-კონსტრუქციული გადახურვის სახეები, მოყვანილია ასეთი შენობა-ნაგებობების გეგმარებითი და კონსტრუქციული გადაწყვეტის მაგალითები, ნაჩვენებია ახალი სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე სივრცითი კონსტრუქციების გადახურვების შესაძლებლობები. სალექციო კურსს დართული აქვს ილუსტრაციები და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

სალექციო კურსი სახელმძღვანელო განკუთვნილია პროგრამა “არქიტექტურის” სპეციალობის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

10. გ. მუხიაშვილი, ვ. ფირცხალავა;

კონსტრუქციები არქიტექტურაში”(ნაწილი I);

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი”

ISBN 978-9941-28-544-8

ანოტაცია: სალექციო კურსში განხილულია არქიტექტურულ-კონსტრუქციული სისტემები და გეგმარებითი სქემები, რომლებიც გამოიყენება საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების პროექტირებასა და მშენებლობაში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ არქიტექტურულ-კონსტრუქციულ სისტემებს, რომლებიც გამოიყენება თანამედროვე მრავალსართულიანი და მაღლივი სამოქალაქო ობიექტების მშენებლობაში და რომლებიც ნაკლებადაა ან საერთოდ არ არის განხილული (მაგ. ღეროვანი, გარსული, კომბინირებული არქიტექტურულ კონსტრუქციული სისტემები და გეგმარებითი სქემები) არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტთათვის განკუთვნილ სასწავლო სახელმძღვანელოებში.

წარმოჩენილია თუ რამდენად განსაზღვრავს კონსტრუქციული სისტემა არქიტექტურული ობიექტის გამომსახველობას, განხილულია მათი სტილისტური და კომპოზიციური თავისებურებანი. მოყვანილია ამ კონსტრუქციული სისტემების გამოყენებით განხორციელებული შენობების არქიტექტურულ-მხატვრული და მოცულობით გეგმარებითი გადაწყვეტის მაგალითები.

ნაშრომში ამასთანავე განხილულია დიდძალიანი სივრცითი არქიტექტურულ-კონსტრუქციული გადახურვის სახეები, მოყვანილია ასეთი შენობა-ნაგებობების გეგმარებითი და კონსტრუქციული გადაწყვეტის მაგალითები, ნაჩვენებია ახალი სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე სივრცითი კონსტრუქციების გადახურვების შესაძლებლობები. სალექციო კურსს დართული აქვს ილუსტრაციები და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი. სალექციო კურსი სახელმძღვანელო განკუთვნილია პროგრამა “არქიტექტურის” სპეციალობის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

11.ვ. ფირცხალავა, გ. მუხიაშვილი;

„ტრადიციული და ინოვაციური არქიტექტურულ-კონსტრუქციული სისტემები”;
„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი”; ISBN 978-9941-28-929-3;

ანოტაცია: სალექციო კურსში განხილულია არქიტექტურულ-კონსტრუქციული სისტემები და გეგმარებითი სქემები, რომლებიც გამოიყენება საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების პროექტირებასა და მშენებლობაში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ არქიტექტურულ-კონსტრუქციულ სისტემებს, რომლებიც გამოიყენება თანამედროვე მრავალსართულიანი და მაღლივი სამოქალაქო

ობიექტების მშენებლობაში და რომლებიც ნაკლებადაა ან საერთოდ არ არის განხილული (მაგ. ღეროვანი, გარსული, კომბინირებული არქიტექტურულ კონსტრუქციული სისტემები და გეგმარებითი სქემები) არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტთათვის განკუთვნილ სასწავლო სახელმძღვანელოებში.

წარმოჩენილია თუ რამდენად განსაზღვრავს კონსტრუქციული სისტემა არქიტექტურული ობიექტის გამომსახველობას, განხილულია მათი სტილისტური და კომპოზიციური თავისებურებანი. მოყვანილია ამ კონსტრუქციული სისტემების გამოყენებით განხორციელებული შენობების არქიტექტურულ-მხატვრული და მოცულობით გეგმარებითი გადაწყვეტის მაგალითები.

ნაშრომში ამასთანავე განხილულია დიდმალიანი სივრცითი არქიტექტურულ-კონსტრუქციული გადახურვის სახეები, მოყვანილია ასეთი შენობა-ნაგებობების გეგმარებითი და კონსტრუქციული გადაწყვეტის მაგალითები, ნაჩვენებია ახალი სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე სივრცითი კონსტრუქციების გადახურვების შესაძლებლობები. სალექციო კურსს დართული აქვს ილუსტრაციები და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

სალექციო კურსი სახელმძღვანელო განკუთვნილია პროგრამა “არქიტექტურის” სპეციალობის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

12.Т. Чигогидзе;

Текстиль и аксессуары в архитектурном дизайне;

Грузинский технический университет; 2018; ISBN 978-9941-20-983-3 (PDF);

ანოტაცია: სალექციო კურსში განიხილება ტექსტილის არსებობის სხვადასხვა ფორმები არქიტექტურასა და გარე და შიდა სივრცეების დიზაინში. ტექსტილი გამოიყენება შემომზღუდავ კონსტრუქციებში და კაპიტალური შენობების ინტერიერის შემავსებლად, სწრაფად აწყობადი მობილური ნაგებობებისთვის, დროებით გამოყენებადი პავილიონების, კარვებისა და მსუბუქი კონსტრუქციებისთვის. რბილი მასალები ფართოდ გამოიყენება წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, რეკლამაში, სადღესასწაულო გაფორმებაში და ა.შ.

13.მ.ფოჩხუა;

მცირე დასახლება (1000 მცხოვრებზე) მოცემულობა და მეთოდოლოგიური მითითება პროექტის შესადგენად.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2018. ISBN 978-9941-26-312-3, უაკ 721.

ანოტაცია: დამხმარე სახელმძღვანელოს მიზანია მიეცეს სტუდენტს ქალაქთმშენებლობით თეორიულ დისციპლინებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა. მეთოდოლოგიური მითითება კი დაეხმარება მას დავალების შესრულებაში. საპროექტო დავალება მიზნად ისახავს დაპროექტდეს მცირე ქალაქური ტიპის დასახლება 1000 მოსახლეზე კონკრეტული ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ტოპოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებების გათვალისწინებით.

14.5.ხაბეიშვილი;

ფერთამცოდნეობა;

თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2018; ISBN 978-9941-20-978-9 (PDF);

ანოტაცია: ლექციების კურსში თანმიმდევრულად მოცემულია ფერის შესახებ მეცნიერების განვითარების მოკლე ისტორია. ასევე ის თეორიული საკითხები, რომლებიც აუცილებელია ფერთა კონცეპტუალური თეორიების ანალიზისთვის - ფერის აღქმის ძირითადი კანონზომიერებები; ფერის ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ოპტიკური ზემოქმედება ადამიანზე, ფერის ფიზიკური ბუნება და სხვა. აღწერილია ფერთა თეორია წელიწადის დროთა მიხედვით და მოყვანილია ამ თეორიის პრაქტიკაში გამოყენების მაგალითები. წიგნში დიდი ყურადღება ეთმობა ფერთი ჰარმონიის ტიპოლოგიას, დიზაინ-პროექტირებაში მისი გამოყენების პრინციპებს და ფერის როლს დიზაინის სხვადასხვა ობიექტის კომპოზიციაში - ფერთი გადაწყვეტის საკითხებს, როგორც ინტერიერში, ისე საქალაქო გარემოში. გამოცემა განკუთვნილია, როგორც არქიტექტურისა და დიზაინის სპეციალობის სტუდენტებისთვის, ასევე ფერთამცოდნეობის საკითხებით დაინტერესებული ყველა პირისთვის.

15.5.ხაბეიშვილი;

ქალაქის კოლორისტიკა;

თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2018; ISBN 978-9941-28-377-2 (PDF);

ანოტაცია: სალექციო კურსში თანმიმდევრულად მოცემულია ქალაქის კოლორისტიკის განვითარების ისტორია, ევროპის ქალაქების პოლიქრომიის დაცემის და აყვავების პერიოდები, თანამედროვე ქალაქების კოლორისტიკაში გამეფებული ტენდენციები. დიდი ყურადღება ეთმობა გარე რეკლამას, როგორც ქალაქში ფერის ერთ-ერთ მატარებელს, ქუჩის ხელოვნებას - გრაფიტის. განხილულია ასევე ქალაქის ბუნებრივი და ხელოვნური განათების საკითხები და ამ კონტექსტში თანამედროვეობის გამოწვევა - მედიაფასადი. გამოცემა

განკუთვნილია არქიტექტურისა და დიზაინის სპეციალობის სტუდენტებისთვის, ასევე კოლორისტიკის საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის.

16.ნ.ხაბეიშვილი;

ფიტოდიზაინი;

თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2018; ISBN 978-9941-28-031-3 (PDF);

ანოტაცია: სალექციო კურსში თანმიმდევრულად მოცემულია ფიტოდიზაინის ფორმირების ისტორია, ფიტოდეკორირების ძირითადი კომპოზიციური ხერხები, ასპექტები და პრინციპები. ასევე ის თეორიული საკითხები, რომლებიც აუცილებელია ფიტოდიზაინის თეორიის გაცნობიერებისთვის: პროპორცია, ფერი, ფორმა, ფონი, სახეობათა რაოდენობა და სხვა. სალექციო კურსში დიდი ყურადღება ეთმობა, როგორც ინტერიერის, ისე ექსტერიერის ფიტოდეკორირებას - აივნების, ტერასების, სახურავების, შენობათა კედლების, საქალაქო სივრცეების ფიტოდიზაინს. განხილულია დღეს პოპულარული ისეთი თემები, როგორებიცაა „ყვავილთა არანჟირების“ ხელოვნება - იკებანა, ბონსაის სტილები, „მწვანე ქანდაკებები“ და სხვა. კურსი განკუთვნილია, არქიტექტურისა და დიზაინის სპეციალობის სტუდენტებისთვის, ასევე გამწვანების და დეკორის საკითხებით დაინტერესებული ყველა პირისთვის.

17.ნაცვლიშვილი გია

სამრეწველო შენობების არქიტექტურული კონსტრუქციები;

© საგამომცემლო სახლი `ტექნიკური უნივერსიტეტი`, 2018

ISBN 978-9941-28-009-2 (PDF)

<http://www.gtu.ge>

სალექციო კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს სამრეწველო შენობების არქიტექტურული კონსტრუქციები, ამ კონსტრუქციების ელემენტები და მათი შეერთების კვანძები. სალექციო კურსს დართული აქვს საილუსტრაციო მასალა, მოყვანილია სამრეწველო შენობების გეგმარებითი და კონსტრუქციული გადაწყვეტის მაგალითები.

სალექციო კურსი განკუთვნილია არქიტექტურისა და სამშენებლო ფაკულტეტების სტუდენტებისთვის.

18.ლ. ლურსმანაშვილი

სამკერვალო ნაწარმის მასალაში შესრულება —

სალექციო კურსი.საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 2018წ.
118გვ.ელექტრონული ვერსია CD-6581

ანოტაცია. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სამკერვალო ნაწარმის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიური სქემები.კერძოდ , ქალის მამაკაცისა და ბავშვის სხვადასხვა ასორტიმენტის ნაწარმის განუყოფელი ტექნოლოგიური ოპერაციების დამუშავების თანმიმდევრობა სპეციალობებისა და ტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით.

2019 წელს გამოცემული

19.ვ.მჭედლიშვილი, მ.მილაშვილი, ნ.მსხილაძე.

სტილი არქიტექტურაში. ლექციების კურსი.

ელ.ვერსია.177 გვ. თბ. 2019 წ. სტუ-ს ბიბლიოთეკა CD- 5244; უაკ72.01

ანოტაცია: ლექციების კურსში გაანალიზებულია არქიტექტურის სტილისტური განვითარების ძირითადი ეტაპები, მნიშვნელოვანი მიმართულებები და მათი თავისებურებანი. განხილულია სხვადასხვა ქვეყნებში არსებული საეთაშორისო პრაქტიკა და მათი მნიშვნელოვანი მიღწევები. განსაზღვრულია სტილისტიკის სფეროს განვითარების თანამედროვე მიმართულებები და ტენდენციები.

20.ვ.მჭედლიშვილი.

ეპოქა და სტილი ინტერიერში. ლექციების კურსი.

71 გვ. თბილისი 2019 წ. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა. ელ.ვერსია. CD- 5242.

ანოტაცია: სალექციო კურსში მოცემულია ინტერიერის ძირითადი ეპოქალური სტილების ნიშან-თვისებების დახასიათება. მათი მაფორმირებელი მნიშვნელოვანი ფაქტორები და განვითარების ეტაპები. არსებული პრაქტიკის საფუძველზე გაანალიზებული და განზოგადებულია თითოეული სტილისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. ლექციების კურსის განკუთვნილია ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის.

21.ვ.მჭედლიშვილი.

სტილი და სტილისტიკა ინტერიერში. ლექციების კურსი.

148 გვ. თბილისი 2019 წ. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა. ელ.ვერსია. CD-5241.

ანოტაცია: ლექციების კურსში განხილულია ინტერიერის სტილები და სხვადასხვა სტილისტური მიმდინარეობები. მათი ფორმირების წინაპირობები. მხატვრულ-ესთეტიკური მახასიათებლები და არსებული მაგალითების განხილვის მაგალითზე თანამედროვე

ინტერიერებში მათი გამოყენების მეთოდები და ხერხები. ლექციების კურსი განკუთვნილია მაგისტრატურის სტუდენტებისათვის.

22.ვ.მჭედლიშვილი.

ღვინის ქარხნის ინტერიერი. მეთოდური მითითება

13. გვ. 2019 წ. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა.ელ.ვერსია CD- 5245.

ანოტაცია: მეთოდური მითითებები შემუშავებულია საკურსო პროექტის თემაზე: “ღვინის ქარხნის ინტერიერი”. მეთოდურ მითითებაში მოცემულია ღვინის ქარხნაში ტექნოლოგიური პროცესების სრულფასოვნად წარმართვისათვის საჭირო შიდა სივრცის მართებული ფუნქციონალური ორგანიზებისა და შესაბამისი არქიტექტურული გარემოს ფორმირებისათვის ძირითადი მოთხოვნები. განსაზღვრულია წარმოებისათვის აუცილებელი მოწყობილობების, აღჭურვისა და ინვენტარის სწორად განთავსებისა და სივრცის მხატვრულ-ესთეტიკური ფორმირების ძირითადი პრინციპები. მეთოდური მითითებები განკუთვნილია ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის.

23.ვ.მჭედლიშვილი.

ნაყინის ქარხნის ინტერიერი. მეთოდური მითითება.

13. გვ. 2019 წ. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკა.ელ.ვერსია CD- 5243.

ანოტაცია: მეთოდური მითითებები შემუშავებულია საკურსო პროექტის თემაზე: “ნაყინის ქარხნის ინტერიერი”. მეთოდურ მითითებაში მოცემულია ნაყინის ქარხნაში ტექნოლოგიური პროცესების სრულფასოვნად წარმართვისათვის საჭირო შიდა სივრცის მართებული ფუნქციონალური ორგანიზებისა და შესაბამისი არქიტექტურული გარემოს ფორმირებისათვის ძირითადი მოთხოვნები. განსაზღვრულია წარმოებისათვის აუცილებელი მოწყობილობების, აღჭურვისა და ინვენტარის სწორად განთავსებისა და სივრცის მხატვრულ-ესთეტიკური ფორმირების ძირითადი პრინციპები. მეთოდური მითითებები განკუთვნილია საბაკალავრო პროგრამის “არქიტექტურა” სტუდენტებისათვის.

24.Т. Чигогидзе;

Методические рекомендации по выполнению курсового проекта «Проектирование интерьера 2»;

Грузинский технический университет; 2019; ISBN 978-9941-28-429-8 (PDF);

ანოტაცია: მეთოდურ მითითებაში ჩამოყალიბებულია საზოგადოებრივი შენობების ინტერიერის, კერძოდ, კაფე-რესტორნის პროექტირების ეტაპები, მასში გამოყენებული

კონსტრუქციები, რეკომენდებული მასალები და ა.შ. სივრცისადმი მოთხოვნების უკეთ გააზრებისთვის, მოყვანილია კვების ობიექტში ავეჯის განთავსების, მათ შორის დაშორებების და სხვა ერგონომიკული სქემები. დეტალურადაა გაწერილი პროექტის შემადგენლობა.

25.Т. Чигогидзе;

Методические рекомендации по выполнению курсового проекта «Проектирование интерьера 3»;

Грузинский технический университет; 2019; ISBN 978-9941-28-430-4 (PDF);

ანოტაცია: მეთოდურ მითითებაში განხილულია საბავშვო ბაგა-ბაღების ინტერიერის ფორმირების საკითხები, მოცემულია საკურსო პროექტის გეგმარებითი გადაწყვეტის თანმიმდევრობა და ტექნიკური გაფორმების ალგორითმი. ჩამოყალიბებულია პროექტის მიზანი, ამოცანები და შემადგენლობა. გარჩეულია საბავშვო ბაღების გავრცელებული ტიპები, ცალკეული სათავსოები, დაწვრილებითი სქემები, ფერადი ილუსტრაციები, რაც მას ადვილად აღქმადს ხდის.

26.მ.ფოჩხუა;

დამხმარე სახელმძღვანელო: ქალაქი 20000 მცხოვრებზე

მოცემულობა და მეთოდიკური მითითება პროექტის შესადგენად

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2019. უკ 721.011.1

ISBN 978-9941-28-2

ანოტაცია: დამხმარე სახელმძღვანელოს მიზანია გაუადვილოს სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. განკუთვნილია არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სპეციალობის სტუდენტებისათვის. სტუდენტს ევალება შეადგინოს ქალაქის გენერალური გეგმა 20 000 მცხოვრებისთვის, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება დასახლებული ტერიტორიის გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითადი პარამეტრები, კეთილმოწყობის პირობები, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ასპექტები.

2020 წელს გამოცემული

27.გ.გეგელია, ბ.თინიკაშვილი;

სალექციო კურსი-“შენობათა რეკონსტრუქცია, რეგენერაცია ადაპტაცია“;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; 2020; ISBN 978-9941-28-178-5 (PDF);

ანოტაცია: სალექციო კურსში მოცემულია არქიტექტურის თეორიის საკითხები, თუ რა არის არქიტექტურული, ისტორიული და კულტურის ძეგლი, მისი ცნება. ძეგლების რესტავრაცია-რეკონსტრუქციის ისტორიული მიმოხილვა, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობითი დოკუმენტები და შეთანხმებები. ქალაქისა და ისტორიულად ჩამოყალიბებული ბირთვის, ცალკეული შენობებისა და ნაგებობების რეკონსტრუქცია-რეგენერაციის, თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე საკითხები და კონცეფციები. ასევე განხილულია არქიტექტურული ძეგლის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის ძირითადი პრინციპები, რას ნიშნავს რესტავრაცია, რას ნიშნავს რეკონსტრუქცია, არქიტექტურული ნაწარმოების კვლევისა და ფიქსაციის კლასიკური და ფოტოგრამმეტრიული მეთოდები. ძეგლის რესტავრაციის საინჟინრო საკითხები, ძეგლის ნგრევის ძირითადი ფაქტორები. სალექციო კურსი განიხილავს მეცნიერულად დასაბუთებულ კვლევებსა და რეკომენდაციებს, ამა თუ იმ თეორიული მიდგომების გამოყენების შესაძლებლობას კონკრეტული ობიექტის გეგმარებით და სივრცობრივ-მოცულობითი სისტემების ანალიზს. დარღვეული არქიტექტურულ-გეგმარებითი ხასიათის და სივრცობრივ-მოცულობითი სახის აღდგენას. სალექციო კურსი განკუთვნილია სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის.

2022 წელს გამოცემული

28.თ. ჩიგოგიძე;

სალექციო კურსი: ტექსტილი და აქსესუარები არქიტექტურულ დიზაინში;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; 2022; ISBN 978-9941-28-892-0 (PDF);

ანოტაცია: სალექციო კურსში განიხილება ტექსტილის არსებობის სხვადასხვა ფორმები არქიტექტურასა და გარე და შიდა სივრცეების დიზაინში. ტექსტილი გამოიყენება შემომზღუდავ კონსტრუქციებში და კაპიტალური შენობების ინტერიერის შემავსებლად, სწრაფად აწყობადი მობილური ნაგებობებისთვის, დროებით გამოყენებადი პავილიონების, კარვებისა და მსუბუქი კონსტრუქციებისთვის. რბილი მასალები ფართოდ გამოიყენება წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, რეკლამაში, სადღესასწაულო გაფორმებაში და ა.შ.

29.მ.ხაბეიშვილი, ნ.ხაბეიშვილი;

სალექციო კურსი: Цветоведение

თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2022;

ISBN 978-9941-28-920-0 (PDF);

ანოტაცია: В данной работе последовательно передаётся краткая история развития науки о цвете. А также теоретические вопросы, необходимые для анализа концептуальных теорий цвета: основные закономерности восприятия цвета; физиологическое, психологическое и

оптическое воздействие цвета на человека; физическая природа цвета и т.д. Описана теория цвета по времени года и приведены примеры ее применения на практике. В ходе лекций большое внимание уделяется типологии цветовой гармонии, принципам ее использования в дизайне и роли цвета в композиции различных предметов дизайна - вопросам цветового решения, как в интерьере, так и в городской среде. Издание предназначено для студентов, изучающих архитектуру и дизайн, а также для всех тех, кто интересуется вопросами цвета.

30.ლ.ბერიძე, მ.ღამბარაშვილი (გაგაძე);

სალექციო კურსი; „ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი სამშენებლო მასალების გამოყენება“;

ანოტაცია: ბუნებრივი მასალების გამოყენება შენობებში საჭიროა, რომ არ დავაბინძუროთ გარემო, მინიმუმამდე დავიყვანოთ ტოქსინების რაოდენობა შენობებში, ამის გარდა ბუნებრივი მასალები დადებით ზეგავლენას ახდენს ადამიანის განწყობაზე, მის ემოციურ მდგომარეობაზე.

ბუნებრივი სამშენებლო მასალა, როგორც წესი, ენერგოეფექტურია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მშენებლობაში და ზოგადად არქიტექტურაში.

ბუნებრივი სამშენებლო მასალები რომლებიც გამოიყენება მშენებლობაში, ესენია: ხე, ჩალა, მიწა, თიხა, ქვა, ლერწამი, ფიქალი და სხვა.

31.ლ.ბერიძე, მ.ღამბარაშვილი (გაგაძე);

სალექციო კურსი; „ქალაქმშენებლობითი კლიმატოლოგია“;

ანოტაცია: ქალაქგეგმარება – ეს არის ქალაქების და სხვა დასახლებული ადგილების დაგეგმარების და განაშენიანების თეორია და პრაქტიკა, რომლებიც კომპლექსურად წყვეტენ სოციალურ-ეკონომიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ, ტექნიკურ-სამშენებლო, სატრანსპორტო და არქიტექტურულ მხატვრულ ამოცანებს.

ქალაქგეგმარება ემყარება საცხოვრებელი სახლების, საზოგადოებრივი შენობების და სამრეწველო ნაგებობების რაციონალურად განლაგების, მათ შორის მოხერხებული სატრანსპორტო კავშირების მოწყობის და ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინების პრინციპებს.

მიუხედავად ამისა, ქალაქგეგმარების პრაქტიკაში, სამწუხაროდ, ხშირად შეიმჩნევა ადგილობრივი სპეციფიკური ბუნებრივ-კლიმატური პირობების და ეროვნული ტრადიციების არასაკმარისი გათვალისწინება, რაც ძირითადად აიხსნება ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორების ნეიტრალიზაციისადმი არამეცნიერული, არაკომპლექსური მიდგომით.

32.ლ.კაპანაძე; ლ.ლურსმანაშვილი

**„ტექნოლოგიური პროცესების შესწავლა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით“-
სალექციო კურსი(გრიფირების პროცესში)**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 2022წ. 100გვ.

სახელმძღვანელოშიწარმოდგენილია კვლევითი სამუშაოს სახეები.კვლევითი სამუშაოს ჩატარების ეტაპები - თემის შერჩევა და დასაბუთება,თემის აქტუალობა და მიღებული შედეგების ეკონომიკური ეფექტის დასაბუთება; საკვლევი საკითხის შერჩევა; კვლევის ჩასატარებლად მეთოდისა და გეგმის შედგენა, ექსპერიმენტის ჩატარებისათვის პროგრამის შედგენა, რომელიც ითვალისწინებს კვლევის თითოეულ ეტაპს; ექსპერიმენტის მომზადება და ჩატარება; შედეგების დამუშავება და შესწავლა; დასკვნების ფორმულირება.

33. ლ. ლურსმანაშვილი

„ტექსტილის ნაწარმის ტექნოლოგია“ - სალექციო კურსი(გრიფირების პროცესში)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 2022წ. 184გვ.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სამკერვალო ნაწარმის დამუშავების ტექნოლოგიური სქემები.კერძოდ: ხელისა და მანქანური გვირისტების სახეები და აგებულება, მათი ტექნოლოგიური რუქები,ტანსაცმლის დეტალების საწყისი ტექნოლოგიური დამუშავება, თბურ- დანამვითი დამუშავების რეჟიმების შერჩევა.სამოსის(ზედა ტანსაცმელი, ქალის და მამაკაცის ნაწარმი) დეტალებისა და კვანძების დამუშავების ხერხები და შესრულების მეთოდები. ძირითადი დეტალების საბოლოო შეერთება და გაფორმება. ტექნოლოგიური დამუშავების თავისებურებები და ნაწარმის აკრეფის ტექნოლოგიური სქემები.